ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1044358

ნომერი: AR1174229

თარიღი : 22.11.2013

გაცემის თარიღი : 16.12.2013

გაცნობის თარიღი : 17.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34 , (ნაკვეთი N37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 აპრილის #645305 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 31 ოქტომბრის AR1174229 განცხადებით მომართა შპს "ზიმოს" დირექტორმა ზურაბ კიკნაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 17 აპრილის #645305 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2013 წლის 17 აპრილის #645305 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.03.040.092) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აქტში ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის შესაბამისად.

განმცხადებელი ითხოვს ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის, სარდაფისა და საერთო ფართის ცვლილებას, ვინაიდან ისინი არ შეესაბამება არქიტექტურულ პროექტს. სამსახურმა გადაამოწმა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია, კერძოდ: შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, სარდაფის ფართი ნამდვილად შედგენს 114.6 კვ.მ.–ს, ავტოსადგომების ფართი – 420 კვ.მ.–ს და შესაბამისად აღნიშნული ცვლილებები აისახება სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამრთლებრივ ატქში დაფიქსირებული საერთო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებელზე, რომელიც შედგენს – 3577 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 აპრილის #645305 ბრძანებაში. კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საპროექტო ობიექტის სარდაფის ფართობი, ავტოსადგომების ფართობი და საერთო ფართობი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- საერთო ფართობი – 3577 კვ.მ.;
- სარდაფის ფართობი – 114.6 კვ.მ.
- ავტოსადგომების ფართობი – 420 კვ.მ.

2.ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 აპრილის #645305 ბრძანება ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;

3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისი არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 17 აპრილის #645305 ბრძანებასთან ერთად;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.